



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

2017

საქართველოს  
მართლმადიდებელი ეკლესიის  
როლის გაზრდა ქვეყნის  
დემოკრატიულ განვითარებაში

პოლიტიკის დოკუმენტი



National Endowment  
for Democracy

*Supporting freedom around the world*

**საქართველოს  
მართლმადიდებელი ეკლესიის  
როლის გაზრდა ქვეყნის  
დემოკრატიულ განვითარებაში**

**პოლიტიკის დოკუმენტი**

**2017**

წინამდებარე პუბლიკაცია მოიცავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თაობაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დამოკიდებულებისა და მოსაზრებების კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს, რაც სამომავლოდ დაეხმარება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და განვითარების პროცესში ეკლესიის მონაწილეობას. კვლევა ჩატარდა პროექტის – „ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის კვლევა/შესწავლა“ – ფარგლებში, National Endowment for Democracy (NED)-ის მხარდაჭერით.

მთავარი მკვლევარი: არჩილ გებეჭიძე

მკვლევრები:

ეკატერინე მატრეველი

ქეთევან ეშხვარი

ნანა სუმბაძე

თამარ გებეჭორი

თათია კუსალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტიომ მელიქ-ნუბაროვი

ტირაჟი: 200 ცალი

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს და შეიძლება არ ასახავდეს ორგანიზაციის National Endowment for Democracy (NED) თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017

ISBN 978-9941-27-690-3

## ანოტაცია

წინამდებარე კვლევა შეეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელ და მომავალ ადგილსა და როლს ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბოლო ათწლეულში ეკლესიის როლი სახელმწიფოში, მისი დამოკიდებულება საზოგადოების დემოკრატიული ტრანსფორმაციის ცალკეული ასპექტებისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ აქტიური სჯა-ბაასის საგანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ არავინ კამათობს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და იდენტობის შენარჩუნების საქმეში ეკლესიის ისტორიულ როლზე, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, აგრეთვე ცალკეული პოლიტიკური პარტიები სულ უფრო მეტად აკრიტიკებენ ეკლესიის კონსერვატიულ ხედვას და რუსეთის მიმართ ზედმეტ ლოიალობას. ეკლესიას კი არ შეუძლია აკადემიური პუბლიკაციებისა თუ ადვოკაციების ენით შესაბამისი პასუხის გაცემა და მუდმივად უწევს თავის მართლება. ამავდროულად, ეკლესია და პირადად პატრიარქი ინარჩუნებენ საზოგადოებრივი ნდობის ტრადიციულად მაღალ დონეს და ამ გარემოებას მთავარ კონტრარგუმენტად იყენებენ.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორ ხედავენ სასულიერო პირები და საკითხის ექსპერტები ეკლესიის ადგილსა და როლს ქვეყანაში, რას ეფუძნება ეკლესიის კონსერვატიზმი, რას აღიქვამს ეკლესია საფრთხეებად. ეს, თავის მხრივ, იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ, რამდენად არსებობს დროთა განმავლობაში ეკლესიის იმგვარი ტრანსფორმაციის პერსპექტივა, რომ წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

კვლევის მთავარ მეთოდად შეირჩა თვისებრივი ანალიზი. ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე მომზადდა სადისკუსიო საკითხები და სიღრმისეული ინტერვიუების კითხვარები სამი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. პირველი სამიზნე ჯგუფი მოიცავდა 30 სასულიერო პირს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ მრევლთან. მეორე სამიზნე ჯგუფს შეადგენდა რელიგიის თავისუფლებისა და უფლებების საკითხებზე მომუშავე 5 ექსპერტი. მესამე სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები, რომლებმაც ორი ცალკეული ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაში მიიღეს მონაწილეობა.

მიუხედავად ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკისა, ეკლესია თვალსაწიერ მომავალში დარჩება სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე ძლიერ ორგანიზაციად და ქართული საჯარო პოლიტიკის ფაქტორად – ეს არის მთავარი დასკვნა, რომელიც ინტერვიუების გაშიფვრის შედეგად გაკეთდა. მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა ისაა, რომ ეკლესიის კონსერვატიზმისა და საფრთხეთა აღქმის წყარო დასავლეთის შესახებ ყოვლისმომცველი ცოდნის ნაკლებობა და იმ სარგებლის არცოდნაა, რომელიც საქართველომ საკუთარი კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის ევროატლანტიკურ თანასაზოგადოებასთან თანამშრომლობით უნდა მიიღოს. მესამე დასკვნა ეხება იმას, რომ სათანადო ჩართულობით ეკლესია დროთა განმავლობაში გარდაიქმნება და აღარ იქნება მთავარი კონსერვატიული აქტორი ქართულ პოლიტიკაში.

თავისი არსით წინამდებარე პუბლიკაცია საჯარო პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც მოიცავს პოლიტიკის რეკომენდაციებს მთავარი დაინტერესებული მხარეებისათვის. ეს მხარეებია: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს მთავრობა, აკადემიური წრეები/მედია-ორგანიზაციები და დონორები.

## შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოსთვის საკმაოდ რთული გამოდგა. ქართველი კაცის ბუნებისთვის დამახასიათებელი რომანტიზმი და მოუთმენლობა საზოგადოებრივ ცნობიერებასაც დაეცო, რაც შემდგომ წლებშიც არაერთი შეცდომის მიზეზი გახდა. შედეგად, საბჭოთა სისტემის ნგრევას, ნაცვლად ახალი ინსტიტუტების მშენებლობისა, კონფლიქტები, დამნაშავეობა და ეკონომიკური კოლაფსი ახლდა. გაჩნდა იდეოლოგიური ვაკუუმი, სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ახერხებდნენ ფუნქციონირებას, მოსახლეობის ცხოვრების პირობები მკვეთრად გაუარესდა.

ასეთ ფონზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთ ნავსაყუდელს წარმოადგენდა ფიზიკურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის.<sup>1</sup> სასონარკვეთილ ხალხს ეკლესია ღმერთთან სიახლოვეს და სულიერ სიმშვიდეს სთავაზობდა, მშვიდობას კი აპურებდა. ყოველივე ეს ბევრისთვის იყო ნუგეში იმ ავბედით დროს. შედეგად, საბჭოთა ათეისტურ წარსულგამოვლილი მოსახლეობა მასობრივად შებრუნდა ეკლესიისკენ, რაც შემდგომ ამ უკანასკნელის სწრაფად გაძლიერების საფუძველი გახდა. მართლმადიდებლობამ ადვილად შეავსო იდეოლოგიური ვაკუუმი, ხოლო მართლმადიდებლურმა სიმბოლიკამ საჯარო სივრცეში ასევე ადვილად ჩაანაცვლა საბჭოთა სიმბოლიკა.<sup>2</sup> თანდათანობით ეკლესიამ ხალხის მაღალი ნდობა დაიმსახურა, რამაც მოსახლეობაში მართლმადიდებელი ქრისტიანების მაღალ წილთან ერთად ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუტად ჩამოყალიბება განაპირობა.<sup>3</sup> იმავედროულად, ინსტიტუციურად სუსტ სახელმწიფოს საკუთარი ლეგიტიმურობის განსამტკიცებლად ძლიერ ეკლესიასთან პარტნიორობა სჭირდებოდა.

2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და სახელმწიფომ გააფორმეს კონსტიტუციური შეთანხმება,<sup>4</sup> რომლის მიხედვითაც, ეკლესიას მიენიჭა მთელი რიგი პრივილეგიები, მათ შორის, გადასახადებისგან გათავისუფლება. ასევე გარკვეული უფლებები განესაზღვრა ეკლესიას განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის მხრივ.<sup>5</sup> ეს იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის შეხმატკობილებული ურთიერთობების თვალსაჩინო გამოვლინება.

საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მარწუხებისგან თავდაღწეულმა ეკლესიამ პოლიტიკური თავისუფლების პირობებში მოსახლეობას ალტერნატიული ნაციონალისტური იდეოლოგია შესთავაზა, რაც ახალგაზრდა არათანმიმდევრული პოლიტიკის მქონე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს პირობებში სირთულეს არ წარმოადგენდა.<sup>6</sup> ამ იდეოლოგიის თანახმად, ქართველი ერი შემოიფარგლება ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. ქართ-

<sup>1</sup> Chitanava E. – The Georgian Orthodox Church: National Identity and Political Influence, in: Traditional Religion and Political Power: Examining the Role of the Church in Georgia, Armenia, Ukraine and Moldova, Ed. Hug A., The Foreign Policy Centre, გვ. 42

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41

<sup>3</sup> Minesashvili S., Kakhishvili L. – Georgia: Foreign Policy Identity in the Domestic Arena as a Subject of Contestation, იხ.: Caucasus Analytical Digest No. 77, 14 September 2015, გვ. 15

<sup>4</sup> „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, იხ.: [www.patriarchate.ge/geo/eklesia/eklesia-daxaxelmwifo/konstituciuri-shetanxmeba-saqartvelos-saxelmwifosa-da-3/](http://www.patriarchate.ge/geo/eklesia/eklesia-daxaxelmwifo/konstituciuri-shetanxmeba-saqartvelos-saxelmwifosa-da-3/)

<sup>5</sup> Minesashvili S. – The Orthodox Church in the Democratization Process in Georgia: Hindrance or Support?, იხ.: Caucasus Analytical Digest No. 97, 21 July 2017, გვ. 6

<sup>6</sup> Rcheulishvili K. – A new Public Role of Religion? Recent Issues of Religion and Politics in Georgia, იხ.: Caucasus Analytical Digest No.72, 29 April 2015, გვ. 7

ველად ყოფნა გულისხმობს მართლმადიდებელი აღმსარებლობის ქონას, თუმცა ყველა მართლმადიდებელი შეიძლება არ იყოს ქართველი.<sup>7</sup> ამავდროულად, საერთაშორისო ასპარეზზე ძლიერდებოდა გლობალიზაციური პროცესები, სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა ინტერნეტი, გაიზარდა ინტერესი გარე სამყაროს მიმართ და თავად საქართველოც ცდილობდა მეტად გახსნილი ყოფილიყო. ყოველივე ამან სტიმული მისცა ქვეყანაში ლიბერალური იდეოლოგიის მომძლავრებას, მათ შორის, სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით, რაც ეკლესიის ზემოხსენებული რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიის მონოპოლიას ასუსტებდა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელსაც თავის დროზე არ შეხებია არც რენესანსი და არც განმანათლებლობა<sup>8</sup> და არც პოსტკოტალიტარული რეფორმები ჩაუტარებია, საფრთხე იგრძნო გლობალიზაციის კონტექსტში დასავლეთთან საქართველოს დაახლოებაში და თანდათან გააძლიერა დასავლეთის სანინააღმდეგო ქადაგება: „თანამედროვე და გლობალური ფასეულობები ზოგადად საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანებს ქრისტიანულ მოძღვრებას აშორებს, უშუალოდ უპირისპირდება მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და ინვესტს ეშმაკს, რომელიც ვერაგი და ფრთხილია“.<sup>9</sup> დასავლეთი გარყვნილების და სულიერების დაკნინების წყაროსთან გაიგივდა, მიუხედავად მისი თვალსაჩინო ტექნოლოგიური პროგრესისა და კეთილდღეობისა. ამის საპირისპიროდ რუსეთს წარმოაჩენდნენ პოზიტიური სახით – როგორც ერთმორწმუნე და მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც ხელსუფლებაში ლიბერალური შეხედულების მთავრობა მოვიდა, ქვეყანაში გაძლიერდა პროდასავლური და, შესაბამისად, ლიბერალური მიმართულების პროპაგანდა, მათ შორის ეკლესიის სანინააღმდეგო რიტორიკა. ამ პროპაგანდის ნაწილი მომდინარეობდა კრიტიკულად განწყობილი ანალიტიკური ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებიც მზარდი რაოდენობის აკადემიურ ნაშრომებს ბეჭდვდნენ და მრგვალ მაგიდებს აწყობდნენ. ეს პერიოდი დაემთხვა რუსეთთან ურთიერთობების სწრაფ გაუარესებას და, შესაბამისად, ანტირუსული რიტორიკის ზრდას. ვინაიდან ეკლესია აღიქმებოდა რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ ინსტიტუტად, მის მიმართ წარმოებული პროპაგანდა კიდევ მეტად გაძლიერდა.

ასე იწყებოდა ეკლესიასა და საზოგადოების ნაწილს შორის იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელიც დღემდე გრძელდება. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირისპირება თავის კვალს ტოვებს საზოგადოებრივ აზრზე, რასაც შესაბამისი კვლევებიც ადასტურებს. ეს გავლენა აგრეთვე ვლინდება ევროატლანტიკური კურსის მიმართ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის დონის დინამიკაშიც. ასე, მაგალითად, 2011 წელთან შედარებით, 2015 წელს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერთა რიცხვმა 80 პროცენტიდან 61 პროცენტამდე დაიკლო, ხოლო იმათი რიცხვი, ვისაც მიაჩნია, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, 29 პროცენტიდან 46 პროცენტამდე გაიზარდა.<sup>10</sup> ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთის მხრიდან ანტიდასავლური კამპანიის გააქტიურებაც. თუმცა, 2017 წლის

<sup>7</sup> კეკელია თ., გავაშელიშვილი ე., ლადარია კ., სულხანიშვილი ი., მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), ილიას სახელობის უნივერსიტეტი, 2013, გვ. 159

<sup>8</sup> იქვე, გვ. 45

<sup>9</sup> Gavashelishvili E. – Anti-Modern and Anti-Globalist Tendencies in the Georgian Orthodox Church, იბ.: Identity Studies, Vol. 4, Ilia State University Press, 2012, გვ. 120

<sup>10</sup> Knowledge of and Attitudes Towards the European Union in Georgia, 2009-2017, Europe Foundation, May 2017, იბ.: [www.epfound.ge/knowledge-attitudes-towards-eu-georgia-2009-2017/](http://www.epfound.ge/knowledge-attitudes-towards-eu-georgia-2009-2017/)



მონაცემებით, ეს მაჩვენებლები საპირისპირო მიმართულებითაა შეცვლილი: ევროკავშირში ნევრობის მხარდამჭერთა წილი 71 პროცენტია, ხოლო იმათი, ვინც ევროკავშირში ქართული ტრადიციების დაკნინების საფრთხეს ხედავენ – 42 პროცენტი. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ „ევროსკეპტიკოსთა“ განწყობები ხშირად წინააღმდეგობრივია, რაც მათი თვალთახედვის სიმყარეზე არ მეტყველებს. ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ევროკავშირისადმი ამგვარი პოზიცია არა აქვთ ბოლომდე გათავისებულები ან გაცნობიერებული.<sup>11</sup> ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ თავად ეკლესიის იდეოლოგიური რესურსიც შეზღუდულია სახელმწიფოს პროდასავლურ კურსზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით და ტრადიციული არგუმენტები მუდმივად განახლებად ვითარებასა და ცვალებად გარემოში ისე ძლიერად აღარ ჟღერს.

ევროატლანტიკური კურსის გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ის სიკეთე და სარგებელი, რაც ამ პროცესს მოაქვს საქართველოს მოქალაქეებისთვის. ამ მხრივ, ჯერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამ და შემდეგ ჩვენი მოქალაქეებისთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭებამ უდავოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივ აზრზე. მთავარი მაინც ის არის, რომ ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე ვერ აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციასა და ევროატლანტიკური კურსით სვლას. მეტიც, დროთა განმავლობაში ეკლესიას სულ უფრო მეტად უჭირს საზოგადოების საპირისპიროში დარწმუნება და იძულებულია ნელა, მაგრამ თავად „მოერგოს“ რეალობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკლესია რისკავს მაღალი ნდობის დაკარგვას და, სავარაუდოდ, განწირულია დასუსტებისთვის.

### პრობლემის აღწერა

მიუხედავად აღნიშნულისა, ეკლესია რჩება მძლავრ სამოქალაქო-საზოგადოებრივ ინსტიტუციად და განაგრძობს თავის საქმიანობას „ტრადიციული“ მსოფლმხედველობის ფარგლებში. შესაბამისად, გრძელდება ხსენებული იდეოლოგიური დაპირისპირებაც, რაც ზოგადად საზიანოა ქვეყნის სტაბილური და თანმიმდევრული განვითარებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიას, ინარჩუნებს რა საკუთარი ინტერესების დაცვის ძლიერ ბერკეტებს, ჯერ კიდევ აქვს ძალა გარკვეული გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე. აქედან გამომდინარე, კვლავაც აქტუალურია იმის განჭვრეტა, თუ რამდენად ექვემდებარება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ტრანსფორმაციას და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნაცვლად დაპირისპირებისა, ხელი შეეწყოს ამ პროცესს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

ეკლესიის ადგილი და როლი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგა ხანია აინტერესებთ ქართულ და უცხოურ აკადემიურ წრეებს. ამ საკითხს მიეძღვნა მრავალი აკადემიური ნაშრომი თუ თემატური კონფერენცია. ერთი არასასურველი საერთო ნიშანი, რაც ამ თავისთავად საინტერესო ძალისხმევას ახასიათებს, ის არის, რომ უმრავლეს შემთხვევაში ეკლესია განიხილება, როგორც ცუდი გაგებით უიმედოდ კონსერვატიული ინსტიტუტი, რომელიც ცდილობს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეფერხებას და ევროატლანტიკური კურსით სვლის დამუხრუჭებას. ნაკლებად არის შესწავლილი ის კონსტრუქციული პოტენციალი, რაც ამ ინსტიტუტს შეიძლება

<sup>11</sup> Zurabishvili T. – The EU as a “Threat” to Georgian Traditions: Who Is Afraid, and Why? იბ.: Caucasus Analytical Digest No. 99, 30 October 2017, გვ. 9

ჰქონდეს ქვეყნის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ხსენებულ აკადემიურ ნაშრომებსა და მრგვალ მაგიდებში, როგორც წესი, არ არის წარმოდგენილი თავად ეკლესიის, მისი მაღალი თუ დაბალი იერარქიის წევრთა თვალთახედვა და შემოთავაზებულია „გარედან დანახული“ სურათი.

წინამდებარე კვლევა სწორედ ამ ნაკლის შევსებას ისახავს მიზნად და ძირითადად, „შიგნიდან დანახული“ სურათის წარმოჩენის მცდელობას წარმოადგენს.

## მეთოდოლოგია

ნაშრომში მთავარ მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა. კვლევის მეთოდოლოგია თავად საკვლევმა საკითხებმა განსაზღვრა, კერძოდ:

ა) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესიის ადგილისა და როლის ფაქტორების იდენტიფიცირება;

ბ) მოდერნიზაციისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულების შესწავლა;

გ) საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობისას არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულების დადგენა.

საწყის ეტაპზე წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო საკითხების ირგვლივ ჩატარდა 2 საპილოტე ფოკუს-ჯგუფი, სადაც მონაწილეობდნენ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტები და სტუდენტები. დისკუსიების შედეგად დაზუსტდა კონკრეტული საკვლევო შეკითხვები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო კითხვარებს ჩალრმავებული ინტერვიუებისთვის (იხ. დანართი №№1,2). მთავარ სამიზნე აუდიტორიად შეირჩა სხვადასხვა რანგისა და ასაკის 30 სასულიერო პირი თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. რესპონდენტთა შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო ყოველდღიური საქმიანობისას უშუალო შეხება მრევლთან.

ინტერვიუების გაშიფრული ტექსტების ანალიზისას გამოიკვეთა მაღალი და დაბალი სიხშირის პასუხები. შესაბამისად, დასკვნები სწორედ მაღალი სიხშირის პასუხების მიხედვით გაკეთდა. თუმცა, ზოგიერთი საკითხის ირგვლივ მსჯელობისას სხვა პასუხებიც არის გათვალისწინებული. მეორე სამიზნე ჯგუფი უფრო მცირერიცხოვანი იყო და შედგებოდა იმ ექსპერტებისგან, რომლებიც ეკლესიისა და რელიგიის საკითხებში ღრმად არიან ჩახედული. მათთვის ოდნავ განსხვავებული კითხვარი შემუშავდა. კვლევაში ამ სამიზნე ჯგუფის ჩართვა საჭირო გახდა სურათის მიუკერძოებელი და კომპეტენტური თვალთ „გარედან დასანახად“. კვლევაში სულ ხუთმა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა.

კვლევის საველე ნაწილი დაიწყო 2017 წლის აპრილში და დასრულდა აგვისტოში.



## კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს საკვლევი საკითხის ყოვლისმომცველ შესწავლას, რადგან:

ა) თავად თვისებრივი კვლევის მეთოდი არ იძლევა საშუალებას, გამოიყენოს პირველად მონაცემთა დიდი მოცულობა;

ბ) თვისებრივ მონაცემთა სუბიექტური ბუნების გამო შეუძლებელია სანდოობისა და ვალიდურობის ჩვეულებრივი სტანდარტების გამოყენება;

გ) ვინაიდან კვლევის პერიოდი დაემთხვა ე.წ. „ცინიანის საქმის“ გახმაურებულ სკანდალს, იერარქიის ზოგიერთმა სასულიერო პირმა უარი განაცხადა ინტერვიუზე;

დ) ვინაიდან საკითხები, რომლებიც ეკლესიის შიგნით არსებულ ტენდენციებსა და ინტერესთა ჯგუფებს ეხებოდა, ნაკლებად არის შესწავლილი, ხშირად გვიხდებოდა ანალიზის გამარტივება და/ან ვარაუდების გამოყენება;

ე) ვინაიდან კვლევის მთავარ მიზანს საკვლევ საკითხებზე თავად ეკლესიის მსახურთა მოსაზრებების შესწავლა წარმოადგენდა, საკვლევ საკითხებზე ისეთი სტიკეჰოლდერების შეხედულებები, როგორებიცაა მთავრობა, დამკვირვებელი ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსი, ასევე დონორი ორგანიზაციები, არ ყოფილა გათვალისწინებული.

## კვლევის შედეგები

ქვემოთ მოყვანილია კვლევის ის შედეგები, რაც ძირითადად გამოიკვეთა შეგროვებული მასალის დამუშავებისას. ამასთან, მუშაობის პროცესში გამოვლინდა სხვა გარემოებებიც, რაც დამატებით კვლევას მოითხოვს.

**1. ეკლესია თვალსაწიერ მომავალში დარჩება სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე მძლავრ ინსტიტუციად.** ამის დასტური იქნება ის, რომ მრავალ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესების რეალიზაციის მიზნით ეკლესია ყოველთვის შეძლებს დიდი რაოდენობის მხარდამჭერთა მობილიზებას. ეკლესიის გავლენის მდგრადობა მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, რომლებიც, თავის მხრივ, ინერციული და სტაბილურია. ასე, მაგალითად, ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მხრიდან ყოველწლიური ტრანსფერით, რომელიც გამყარებულია სამართლებრივად, 2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმების („კონკორდატი“) საფუძველზე. ასევე, საყოველთაოდაა აღიარებული ეკლესიის დამსახურება ქართული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქვეყნის საერთო მოსახლეობაში დიდია მართლმადიდებელი ქრისტიანების წილი. კიდევ ერთი ფაქტორია პატრიარქის პირადი ავტორიტეტი: 1992 წლის შემდეგ საზოგადოების მხრიდან მისადმი ნდობის მაჩვენებელი ყოველთვის აღემატებოდა სხვა საჯარო პირებისას. დაბოლოს, თავად ის გარემოება, რომ მთავრობის წარმომადგენლები ეკლესიის წევრებად მოიაზრებენ თავს, ყოველთვის განამტკიცებს პატრიარქის და ზოგადად მოძღვარის ავტორიტეტს. შესაბამისად, ეკლესია ყოველ-

თვის იქნება აღქმული როგორც ლეგიტიმაციის წყარო.

- 2. ეკლესიისა და პატრიარქის გავლენა მრევლზე არ არის აბსოლუტური.** მიუხედავად პატრიარქის მაღალი ავტორიტეტისა, ხშირად მრევლი მის ქადაგებას ყურს არ უგდებს. ამის მაგალითია პატრიარქის მოწოდება აბორტის, როგორც „არაქრისტიანული აქტის“, წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებასაც ამძიმებს. მიუხედავად ამისა, აბორტის რაოდენობა მკვეთრად არ შემცირებულა და ოჯახები მაინც აგრძელებენ ამ პრაქტიკას. მეორე მაგალითი ეხება პატრიარქის მოწოდებას საქართველოს მოქალაქეებისადმი არ წავიდნენ ემიგრაციაში, ხოლო იმათ, ვინც უკვე წასულია, იფიქრონ სამშობლოში დაბრუნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ ეკლესიის ეპარქიებს მიეცათ ინსტრუქცია ექადაგათ რეპატრიაციის საჭიროებაზე, ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. დასავლეთში თვითრეალიზაციის შესაძლებლობის არგუმენტმა გადანონა პატრიარქის ავტორიტეტი.
- 3. ეკლესიის მსახურთა შემადგენლობა არაერთგვაროვანია თავისი მსოფლმხედველობით.** ეკლესიის მსახურთა უმრავლესობა კვლავინდებურად კონსერვატიული შეხედულებებისაა. ესენი არიან საშუალო ასაკისა და უფროსი თაობის რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიის მქონე სასულიერო პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქართული იდენტობა მართლმადიდებლობას უნდა ემყარებოდეს. მათი აზრით, გლობალიზაციის ეპოქა ემუქრება ეროვნულ ტრადიციებს და კულტურას, ენას და სულიერებას. მეორე ჯგუფი არის უმცირესობა – ეს არის ახალგაზრდა თაობის სასულიერო პირთა ერთობა, რომელსაც, ერთი მხრივ, არ გააჩნია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათან ახლო ურთიერთობების და რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების გამოცდილება და, მეორე მხრივ, იცის უცხო ენები და ევროპისა და დასავლური მიღწევების მიმართ აქვს ინტერესი.
- 4. ეკლესიის დამოკიდებულება დასავლეთისადმი არ არის ცალსახად ანტაგონისტური.** უდავოა, რომ ადგილი აქვს დასავლეთისადმი უნდობლობას, ეჭვს, გარკვეულწილად სიძულვილსაც კი. დასავლეთი გაიგივებულია გარყვნილების წყაროსთან და სულიერების დეგრადაციასთან. ამავე დროს, ბევრი კონსერვატორი სასულიერო პირი არც არის ნამყოფი დასავლეთში. ის, რაც გაუგიათ დასავლეთზე, ეყრდნობა რუსულ წყაროებში მოძიებულ ფრაგმენტულ ინფორმაციას. საინტერესოა, რომ, მართალია, ხსენებული შეხედულება საკმაოდ გავრცელებულია ეკლესიაში, მაგრამ მის გვერდით არსებობს პატივისცემა დასავლეთის თვალსაჩინო მიღწევების მიმართ განათლების, ტექნოლოგიური პროგრესის, მართვისა და კეთილდღეობის მაღალი დონის კუთხით. მას შემდეგ, რაც პატრიარქმა და წმინდა სინოდმა საჯაროდ დაუჭირეს მხარი საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან, მათ შორის ევროკავშირთან, ამ დაახლოების ყველაზე თავგამოდებულმა მოწინააღმდეგეებმაც კი შეარბილეს რიტორიკა. ასე, მაგალითად, აცნობიერებენ რა, რომ ვერ წავლენ მოსახლეობის დიდი ნაწილის ნების წინააღმდეგ, კონსერვატორი სასულიერო პირები მხარს უჭერენ ქართველი ახალგაზრდების დასავლეთის უნივერსიტეტებში განათლებას. თუმცა იქვე დასძინენ, რომ „ხარისხიანი განათლების მიღება არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ რუსეთშიც, ჩინეთშიც და იაპონიაშიც შეიძლება“. იმავდროულად, უფრო ახალგაზრდა თაობის სასულიერო პირები ცხადად გამოხატავენ მზადყოფნას, მეტი ისწავლონ ევროპისგან და ევროპის შესახებ.

- 5. ეკლესიის სკეპტიციზმი დასავლეთის მიმართ ვერ შენარჩუნდება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.** დასავლეთისადმი ეკლესიის ამგვარი დამოკიდებულება არ არის გამყარებული ემპირიული ცოდნით. იგი უფრო იმ მითებითა და სტერეოტიპებით იკვებება, რომელიც თავად ეკლესიის წიაღში წარმოიშობა. სასულიერო პირებმა ცოტა რამ იციან დასავლეთის შესახებ, ვინაიდან ზედაპირულად ხედავენ ევროპასა და შეერთებულ შტატებში მიმდინარე პროცესებს. მათ ასევე არა აქვთ სრული წარმოდგენა იმ პრაქტიკულ სარგებელზე, რაც დაკავშირებულია საქართველოს ურთიერთობასთან ევროკავშირთან, ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ისინი უბრალოდ არ ფლობენ ინფორმაციას დახმარების იმ ათეულობით პროგრამასა და პროექტზე, რომელიც ამ ურთიერთობების ფარგლებში ხორციელდება საქართველოს საჯარო სამსახურის, ეკონომიკის, სამართალდამცავი სტრუქტურების, თავდაცვის, განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში.
- 6. ეკლესიის სიმპათია რუსეთის მიმართ წარმავალია, ვინაიდან იგი არ ემყარება არც გეოპოლიტიკურ ანალიზს და არც ცივილიზაციურად საქართველოს რუსული სამყაროსათვის მიკუთვნების განცდას.** ეკლესიის მხრიდან რუსეთისადმი ლოიალობას არა აქვს მყარი საფუძველი. აქ მნიშვნელოვანი შემზღვეველი ფაქტორია მისთვის დამახასიათებელი ეთნორელიგიური ნაციონალიზმი, რომლისთვისაც მთავარია ქართული იდენტობა, ტრადიციები, ენა და კულტურა. ასევე აღსანიშნავია, რომ ხსენებული სიმპათია, რომელიც კვებავს სამღვდელოების ნაწილის ლოიალობას რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მიმართ, წარმავალი ხასიათისაა. საქმე ისაა, რომ თავად ის ფაქტორები, რომლებიც ამ სიმპათიას განაპირობებს, დროებითია, იგულისხმება: ა) ნოსტალგია რუსულ სამყაროსთან წარსულში ურთიერთობის გამო; ბ) ერთმორწმუნეობა რუსეთთან, როგორც მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერთან; გ) რუსულის გარდა სხვა უცხო ენების არცოდნა, რის გამოც სასულიერო პირები იძულებული არიან შემოიფარგლონ რუსეთში გამოცემული თეოლოგიური ლიტერატურით; დ) რუსეთის მთავრობისა და ეკლესიის აღქმა, როგორც „მავნე ლიბერალური ფასეულობების“ წინააღმდეგ ბრძოლის ფლაგმანისა. ხსენებული ფაქტორები, როგორც უფროსი თაობის სასულიერო პირებთან დაკავშირებით განსახილველი გარემოებები, დროთა განმავლობაში, ეკლესიაში თაობათა ცვლასთან ერთად, დაკარგავენ გავლენას.
- 7. ეკლესიას საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების თავისებური გაგება აქვს.** სახელმწიფოსგან განსხვავებით, ეკლესიას თავისებური აღქმა აქვს იმ საფრთხეებისა და შესაძლებლობებისა, რაც ქვეყნის გარესამყაროსთან ურთიერთობებს უკავშირდება. მისი დამოკიდებულება როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის მიმართ, გაორებულია, ხოლო თურქეთს რაც შეეხება, მას ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს ისტორიულ მტრად. რუსეთის შემთხვევაში ხსენებული გაორება განპირობებულია, ერთი მხრივ, წინა პარაგრაფში აღნიშნული ფაქტორებით გამონვეული სიმპათიით, მეორე მხრივ, რუსეთისადმი უნდობლობით იმ აგრესიული პოლიტიკის გამო, რაც მან მე-19 საუკუნიდან მოყოლებული აწარმოა საქართველოსა და ქართული ეკლესიის მიმართ. განსაკუთრებით აღინიშნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია. რაც შეეხება დასავლეთის მიმართ ამბივალენტობას, ეკლესია აღიარებს ევროპის მიღწევებს კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი წესრიგის, კეთილდღეობის, სამუშაო ეთიკის, ტექნოლოგიური პროგრესის, ინფრასტრუქტურის და სხვა კუთხით,

თუმცა მიიჩნევს, რომ ევროპა კარგავს სულიერებას და საქართველოსთვის მორალური ორიენტირის ფუნქციას. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ ვინაიდან მაგალითი გადამდებია, ევროპასთან შემდგომი დაახლოება აუცილებლად გამოიწვევს ქართველების ჭეშმარიტი ფასეულობებისა და ეროვნული თვითშეგნების დაკარგვას. სწორედ აქედან იღებს სათავეს ეკლესიის სკეპტიციზმი დასავლური სამყაროსა და მისი ინსტიტუტების, განსაკუთრებით, ევროკავშირისა და ნატოს მიმართ. ეს უკანასკნელი უფრო მეტად აგრესიულ სამხედრო გაერთიანებად აღიქმება, ვიდრე დემოკრატიული სამყაროს უსაფრთხოების გარანტიად. თურქეთთან დამოკიდებულების შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ოსმალეთის იმპერიის ისტორიული მტრობა საქართველოსთან, რაც ინერციით თანამედროვე თურქეთზეც ვრცელდება. შედეგად, მეგობრული მეზობელი „მტაცებელთან“ არის გაიგივებული. ზემოხსენებული გარემოებების გამო ეკლესია ვერც ერთ მეზობელში თუ დასავლეთის სახელმწიფოებსა და ინსტიტუტებში ვერ ხედავს ჭეშმარიტად სანდო პარტნიორს, რომელიც საქართველოსთან ურთიერთობებში თანასწორობისა და უანგარო თანამშრომლობის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ხოლო თურქეთის მიმართ გამოკვეთილი ანტიპათია პოტენციურად სახიფათოც კია ქვეყანაში ინტერკონფესიური ჰარმონიისთვის, თუკი გავითვალისწინებთ საქართველოში მუსლიმური თემის არსებობას.

**8. ეკლესია არ არის „გაქვავებული“ ინსტიტუტი და დროთა განმავლობაში შეუძლია მოდერნიზება თანამედროვეობასთან ადაპტირების მიზნით.** საბჭოთა დროიდან მოყოლებული დღემდე ეკლესიას არ ჩაუტარებია რეფორმები. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ეკლესიამ, სახელმწიფოსთან კოორდინაციით, მოახერხა სხვა რელიგიებთან მიმართებაში მონოპოლისტური პოზიციის დაკავება. მას შემდეგ იგი რჩება თანამედროვე საქართველოს ყველაზე კონსერვატიულ ინსტიტუტად. ეკლესიის კონსერვატიულობის მთავარი წყარო მართლმადიდებლობაა. თუმცა, მართლმადიდებლობა თავისთავად არ გულისხმობს ქვეყნის მოდერნიზაციასთან, ევროპეიზაციასა თუ პროდასავლურ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციასთან წინააღმდეგობას. საილუსტრაციოდ აღმოსავლეთ ევროპის და ბალკანეთის მართლმადიდებელი ქვეყნების მაგალითი გამოდგება. კონსერვატიზმის მეორე მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლო ათწლეულის მანძილზე სამოქალაქო საზოგადოების ზოგი ორგანიზაციის შემოტევის ფონზე ეკლესიის თავდაცვით პოზიციაში ყოფნა. საქმე ისაა, რომ ეკლესია თავის თავს კი განიხილავს ეროვნული ფასეულობების ერთადერთ დამცველად, მაგრამ ვერაფრით მოახერხა საკუთარი კონსერვატიზმის იდეოლოგიური ბაზისის ჩამოყალიბება, რათა შეძლებოდა „ლიბერალებისგან“ თავდასხმის წარმატებით მოგერიება. ამ ფონზე ხდება ეკლესიის რიგების განახლება უფრო ახალგაზრდა, ლიბერალური ხედვების მიმართ შემწყნარებელი სასულიერო პირებით. როგორც კერძო საუბრებში, ისე მრევლთან ურთიერთობისას ეს სასულიერო პირები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას ეკლესიის მხრიდან აშკარა კონსერვატორული პოზიციებისა თუ რუსეთის ეკლესიისა და მთლიანად სახელმწიფოს მიმართ ქედის მოხრის გამო. სასულიერო პირების ეს ჯგუფი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, სადაც ხშირად მონაწილეობს დისკუსიებში და საზოგადოებას უზიარებს საკუთარ ლიბერალურ ხედვებს.



- 9. საჯარო სივრცეში არ არსებობს სამღვდლოებასა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის დიალოგის პლატფორმა.** „კონკორდატის“ ფარგლებში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მკაფიოდ არის განერილი, რომლის საფუძველზეც, ავად თუ კარგად, ხორციელდება ორ მხარეს შორის ინტერაქცია. რაც შეეხება ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგს ორმხრივად საინტერესო საკითხებზე, არ არსებობს მისი ხელშემწყობი მუდმივი პლატფორმა. კომერციული მედიასაშუალებები არ უთმობს ეთერს გადაცემებს, სადაც სოციალური თუ პროფესიული ჯგუფებისა და ეკლესიის წარმომადგენლები დასხდებოდნენ და წყნარ ატმოსფეროში ისაუბრებდნენ სხვადასხვა საკითხზე. საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ ვერ გახდა ამგვარი პლატფორმა, ვინაიდან მისი სარედაქციო პოლიტიკა, სავარაუდოდ, ყველას მოსაწონი არ არის. არც აკადემიურ სივრცეში მოიძებნება ხსენებული დიალოგის პლატფორმა. ნაწილობრივ ეს აიხსნება დონორების მხრიდან დაბალი ინტერესით და, შესაბამისად, მათგან სათანადო ფინანსური მხარდაჭერის არ არსებობით. მეორე მხრივ, არც თავად მხარეებში შეინიშნება ენთუზიაზმი ამგვარი დიალოგის მიმართ. მეტიც, ისინი საკუთარი მოსაზრებების და პოზიციის ცალმხრივად დაფიქსირებას ამჯობინებენ. აკადემიური სექტორის წარმომადგენლებისთვის ეს ცალმხრივობა შეიძლება გამოიხატოს სტატიების გამოქვეყნებაში, კვლევებში, ანგარიშებში, საექსპერტო შეფასებებში. პოზიციის გამოხატვის ეს ფორმები იშვიათად ითვალისწინებს მეორე მხარის – ეკლესიის – ხედვებსა და არგუმენტებს. ამ უკანასკნელის „ცალმხრივობა“ პოზიციის დაფიქსირებისას, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს „ერთსულოვნების“ ეკრანიდან საუბარში, ეკლესიებსა და ტაძრებში ქადაგებაში ან ისეთი აგრესიული ხასიათის მსვლელობებში, როგორცაც ადგილი 2014 წლის 17 მაისს ჰქონდა.
- 10. ეკლესია ამ ეტაპზე ვერ ხედავს საქართველოს გამოვლიანების საქმეში საკუთარი ჩართვის პერსპექტიულობას.** აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ საზღვრებშია მოქცეული და ამას რუსეთის ეკლესიაც აღიარებს. შესაბამისად, ხსენებული რეგიონების მართლმადიდებელი მოსახლეობა საქართველოს ეკლესიის მრევლია. მიუხედავად ამისა, ცნობილი პოლიტიკური პრობლემის გამო, ამ რეგიონების ტაძრებში მღვდელმსახურება ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს – ქართველი სასულიერო პირები ვერ ახერხებენ გამყოფი ხაზის გადაკვეთას, ხოლო ე.წ. აფხაზეთის ეკლესია ესწრაფვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან გამოყოფას. ამავდროულად, აფხაზურ საზოგადოებაში თავად საქართველოს ეკლესიისა და პირადად პატრიარქის მიმართ შეინიშნება ძლიერი ანტიპათია. ყოველივე ეს ართულებს შერიგების პროცესში ეკლესიის ფაქტორის ჩართვას.
- 11. ეკლესია ზოგადად ქართული მედიის მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი.** კრიტიკის საბაბს მედიის არაპროფესიონალიზმი და მიკერძოება წარმოადგენს. რეალური მიზეზი კი უნდობლობაა, ვინაიდან ეკლესიის მღვდელმსახურთა უმრავლესობის მხრიდან ძირითადი მედიასაშუალებები მის წინააღმდეგ წარმოებული იდეოლოგიური კამპანიის მნიშვნელოვან მონაწილედ აღიქმება. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მედიაში, განსაკუთრებით კომერციულ ტელევიზიებში, ნაკლებად ისმის ეკლესიის წარმომადგენელთა ხმა. არასაკმარისი დრო ეთმობა დისკუსიებს და შემეცნებით

საუბრებს სასულიერო პირების მონაწილეობით, ანუ შეინიშნება ისეთი გადაცემების ნაკლებობა, სადაც კონსტრუქციულ ფორმატში ყველა ის საკითხი იქნებოდა განხილული, რაც ზემოთ აღნიშნული იდეოლოგიური დაპირისპირების თემებს წარმოადგენს. შესაბამისად, ეკლესია მედიის თავისუფლებაზე თავშეკავებით ლაპარაკობს და მიიჩნევს, რომ მას, პირველ რიგში, „კვალიფიკაციის ამაღლება“ სჭირდება.

**12. ეკლესიაში ქარბი კონსერვატიზმის ერთ-ერთ წყაროს საეკლესიო განათლების კონსერვატიულობა წარმოადგენს.** საქართველოს ეკლესიას ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო დაწესებულებების საკმაოდ განვითარებული ქსელი აქვს, იქნება ეს უნივერსიტეტები, აკადემიები, სემინარიები, საკვირაო სკოლები და სხვ. მათი სასწავლო პროგრამები განსხვავებულია, მაგრამ საერთო ჯამში მთელი სისტემა საჭიროებს განახლებას. ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიების დროს გამოჩნდა, რომ ეკლესიაში გავრცელებული ზემოხსენებული გაორებული დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ, სტუდენტებს შორისაც შეინიშნება. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის ფაქტორის გადაჭარბებულ შეფასებაზეც. საეკლესიო განათლების სისტემის განახლების საჭიროება ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზმაც წარმოაჩინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია.

## დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ეკლესიამ სწრაფად დაიწყო გაძლიერება და ათწლეულის თავზე საზოგადოებისთვის ყველაზე სანდო ინსტიტუციის სტატუსი მოიპოვა. ამ ხნის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა პატრიარქ ილია II-ის პირადი ავტორიტეტიც, რაც დღემდე გრძელდება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი თანამედროვე საქართველოს ყველა დროის უმაღლესი მორალური ავტორიტეტია და მართლმადიდებელი სამყაროს ერთ-ერთი აღიარებული წინამძღოლი. შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელი ადგილი და როლი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამავდროულად, ბოლო პერიოდში გახშირდა ეკლესიის კრიტიკა მისი შეხედულებების გამო როგორც ქართულ იდენტობასთან, ისე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. ხშირად ეს კრიტიკა ისმის ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის, მედიის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ დასავლური ორგანიზაციები და მთავრობები, ეყრდნობიან რა ხსენებული სუბიექტებისგან მიწოდებულ ინფორმაციასა და მოსაზრებებს, ასევე მიიჩნევენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მართალია გავლენიანი, მაგრამ რეტროგრადული ორგანიზაციაა და ქვეყნის მოდერნიზაციისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის დამამუხრუჭებელ ძალას წარმოადგენს.

სინამდვილეში ვითარება სხვაგვარადაა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წიაღში ფესვგადგმულია დასავლეთის გავლენის აღქმა, როგორც ქართული იდენტობის დაკნინების მთავარი საფრთხისა და ამის პარალელურად აშკარაა რუსეთისადმი მისი პიეტეტი, ეკლესია ვერ ახერხებს გავლენა იქონიოს კრიტიკული რაოდენობის მრევლის შეხედულებებზე და საკუთარი სტერეოტიპები და ფობიები თავს მოახვიოს. ამის საპირისპიროდ, დასავლურ ინსტიტუტებთან და ცალკეულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობამ საქართველოში შეიძინა უზარმაზარი ტრანსფორმაციული ძალა, რომლის გავლენა სულ



უფრო მეტად იგრძნობა როგორც სამთავრობო პოლიტიკის, ისე საზოგადოებრივი ცნობიერების მაგალითზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება მრავალრიცხოვანი გამოკითხვები, რომელთა თანახმადაც, დასავლეთისადმი სკეფსისი ვერ გახდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საფუძველი. მეტიც, პროდასავლური ორიენტაცია და ევროატლანტიკური ინტეგრაცია დღეს ეროვნული კონსოლიდაციის მთავარი თემაა.

საინტერესოა, რომ თავად ეკლესიაშიც შეიმჩნევა კონსერვატიული შეხედულებების შესუსტება, რისი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორიც სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებაა, ანუ ერში გათავისებული პროდასავლური არჩევანი. თუმცა, ეკლესიაში მიმდინარე თაობათა ცვლა, რომლის შედეგადაც ადგილს იკავებენ ახალგაზრდა და უფრო ლიბერალური შეხედულებების სასულიერო პირები, ასევე ახდენს გავლენას საერთო სურათზე.

ყოველივე აღნიშნული არ ნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი და როლი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამომავლოდ შესუსტდება. ეკლესია შეინარჩუნებს საზოგადოებაზე გავლენის ბერკეტებს და ამ მხრივ იგი დარჩება ყველაზე ძლიერ ორგანიზაციად სამოქალაქო სექტორში. მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ საზოგადოებასა და ეკლესიას შორის დიალოგი დაჩქარდეს ის ტრანსფორმაცია, რაც ეკლესიის წიაღში ბუნებრივად ისედაც დაწყებულია. შედეგად, ეკლესია ნაცვლად რეტროგრადული ინსტიტუციისა, გადაიქცევა ქვეყნის მოდერნიზაციისა და დასავლური ყაიდის დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის მხარდამჭერ ინსტიტუციად. ამგვარი ტრანსფორმაციის შესაძლებლობა კარგად გამოაჩინა კიდევ 2016 და 2017 წლებში ბრიუსელსა და ვაშინგტონში სინოდის წევრებისა და სასულიერო პირების ვიზიტების<sup>12</sup> შედეგებმა.

## რეკომენდაციები

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს შემდეგი სასურველი შედეგის მიღწევას:

ა) შეიქმნას დიალოგისა და დისკუსიის პლატფორმები ეკლესიის მსახურთა ცნობიერების ასამაღლებლად ისეთ საკითხებზე, როგორცაა დასავლეთის კულტურული და სულიერი რაობა, საქართველოს განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, ახალგაზრდების წიგნიერება და სხვ.

ბ) გაძლიერდეს ეკლესიის მსახურთა შესაძლებლობები უცხოური თეოლოგიური ლიტერატურის ქართულენოვანი მკითხველისთვის ხელმისაწვდომობით, ასევე დასავლური სამყაროს უშუალო გაცნობით, ეკლესიაში თანამედროვე მსოფლალქმის ჩამოყალიბების მიზნით.

გ) გაიზარდოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა ორივე მხარისთვის საჭირობოროტო საკითხების მოსაგვარებლად.

<sup>12</sup> 2016 წლის ნოემბერში და 2017 წლის თებერვალში ჩატარდა ვიზიტები ბრიუსელში, სადაც გაიმართა შეხვედრები ნატოსა და ევროკავშირში. 2017 წლის ნოემბერში ეკლესიის მაღალი იერარქიის წარმომადგენლები სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდნენ ქ. ვაშინგტონში. ვიზიტის ფარგლებში სასულიერო პირები შეხვდნენ სამოქალაქო სექტორის, აკადემიური წრეებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს. ვიზიტების ორგანიზატორი იყო „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“.

შემუშავებული 16 რეკომენდაცია დაჯგუფებულია ზემოაღნიშნული სასურველი შედეგების მიხედვით და გამიზნულია თავად ეკლესიის, მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა (აკადემიური წრეები/მედია) და აგრეთვე უცხოური დონორი ორგანიზაციებისათვის, როგორც რეკომენდაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროებისთვის. აღსანიშნავია, რომ ზოგ რეკომენდაციას შეიძლება ჰყავდეს ერთი ადრესატი, ზოგს – მეტი. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში რეკომენდაციებს ან საერთოდ არ სჭირდება დონორი, ან დაფინანსების წყარო შეიძლება არ იყოს უცხოური ორგანიზაცია.

## **ცნობიერების ასამაღლებლად დისკუსიებისა და დიალოგის პლატფორმების შექმნა**

პირველი ოთხი რეკომენდაცია ეხება სამოქალაქო ინსტიტუტების ბაზაზე პლატფორმების შექმნას:

### **1. სასულიერო პირების ცნობიერების ამაღლება დასავლური სამყაროს ქვეშეშედი ფასეულობების, მისი კულტურის, საზოგადოებისა და პრიორიტეტების შესახებ**

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** ეკლესიის დასავლეთისადმი, კერძოდ, ევროპის მიმართ ანტიპათია ძირითადად განპირობებულია თანამედროვე თავისუფალი სამყაროს, მისი ნამდვილი ფასეულობების, ინსტიტუტების, კულტურული განვითარების, საზოგადოებრივი განწყობებისა და ა.შ. არცოდნით. საეკლესიო განათლების არსებული სისტემა, რამაც უნდა განსაზღვროს მომავალი სამღვდელთა თანამედროვე მსოფლმხედველობა, კონცენტრირებულია გარესსამყაროს დანახვაზე მართლმადიდებლობის ობიექტივიდან. ტრადიციულ მედიას ძალა არ შესწევს შეავსოს ცოდნის ეს დეფიციტი. ეს არც სოციალურ მედიას შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ მას სულ უფრო მეტად იყენებენ ახალგაზრდა თაობის სასულიერო პირები. სამწუხაროდ, არც საექსპერტო წრეებში გვეგულება ხსენებული საკითხების სასულიერო პირების მონაწილეობით განხილვისათვის შექმნილი პლატფორმები და არც ანალიტიკური ცენტრების ბაზაზე სპეციალურად შექმნილი ევროპის შემსწავლელი პროგრამები არსებობს, სადაც სასულიერო პირებს აკადემიური ცოდნის მიღებას შეძლებდნენ. მიზეზი ნაწილობრივ ისაა, რომ დონორთა წრეებში ამგვარი პროექტების მხარდაჭერის მიზანშეწონილობას არასათანადოდ აცნობიერებენ.

### **2. სასულიერო პირების ცნობიერების ამაღლება საქართველოს დასავლურ ინსტიტუტებთან და მთავრობებთან თანამშრომლობასა და დაახლოებასთან დაკავშირებით**

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
საქართველოს მთავრობა  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** საქართველოს დაახლოება (აპროქსიმაცია) და ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში არის სასულიერო პირებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად ცნობილი თემა, თანამშრომლობის პირობების, მოსალოდნელი შედეგების და ქვეყნის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის სარგებლის თვალსაზ-

რისით. იგივე ეხება თანამშრომლობას ევროპის ცალკეულ ქვეყნებსა და აშშ-სთან. შეიმჩნევა, აგრეთვე, ანტიდასავლური პროპაგანდის კვალიც. ამ კამპანიას რუსეთი აწარმოებს, რომლის მიმართაც ეკლესია მონყვლადია. სასურველია შეიქმნას სასწავლო კურსები, სადაც ჩაერთვებიან საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, აგრეთვე სხვა უწყებების წარმომადგენლებიც, რაც შესაძლებლობას მისცემს სასულიერო პირებს პირველწყაროდან მიიღონ ევროკავშირსა და ნატოსთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია. უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე ამ მიმართულებით ცალკეული პროექტები ადრეც ხორციელდებოდა და ახლაც მიმდინარეობს. თუმცა, ეს უფრო სპონტანურ ხასიათს ატარებს და არ არის მიზანმიმართული. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამაც უნდა დააჩქაროს ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიის განხორციელება, რათა გაიზარდოს რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდის მიმართ მდგრადობა.

### **3. სასულიერო პირების ცნობიერების ამაღლება საქართველოსა და თურქეთს შორის თანამედროვე ურთიერთობების შესახებ**

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** თურქეთის მიმართ ეკლესიის უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიძლება დააზიანოს არა მხოლოდ საქართველო-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობები, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითადაც იმოქმედოს ეკლესიასა და საქართველოში მცხოვრები მუსლიმური თემის ურთიერთდამოკიდებულებაზე. სამოქალაქო საზოგადოების ბაზაზე უნდა შეიქმნას პლატფორმა, სადაც გაიმართება დიალოგი ეკლესიის წარმომადგენლებთან ორ ქვეყანას შორის დღეს არსებული ურთიერთობების თემებზე და მეზობელ ქვეყანასთან ამ ურთიერთობების მნიშვნელობაზე საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის.

### **4. საქართველოს განვითარების, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და რელიგიური თავისუფლების საკითხებზე მრგვალი მაგიდების ჩატარება**

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** არასამთავრობო სექტორში შეიძლება შეიქმნას პლატფორმა პერიოდული მრგვალი მაგიდების სახით, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მაღალი იერარქიის სასულიერო პრეზიდენტები. განხილვის მთავარი თემა შეიძლება იყოს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები, მათ შორის საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობა, დემოგრაფიული უსაფრთხოება, განათლება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს, რელიგიის თავისუფლებას და ა.შ. მთავარი მიზანი ამგვარი დიალოგისა საქართველოს განვითარების თაობაზე განსხვავებულ შეხედულებათა დაახლოება იქნება.

შემდეგი ორი რეკომენდაცია უკავშირდება საპატრიარქოს ბაზაზე დიალოგის პლატფორმების შექმნას:

**5. პატრიარქისა და წმინდა სინოდის სხვა წევრთა მონაწილეობით რეგულარული დიალოგის პლატფორმის შექმნა, რომელსაც დაესწრებიან ანალიტიკური ცენტრებისა და ადვოკატების ჯგუფების წარმომადგენლები**

**ადრესატი:** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**დასაბუთება:** ეკლესიისა და საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილი ნაწილისგან განსხვავებით, ცალკეულ ანალიტიკურ ცენტრებსა და ადვოკატების ჯგუფებს კრიტიკული და ხშირად საპირისპირო აზრი აქვთ საზოგადოებაში ეკლესიის ადგილისა და როლის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის სხვადასხვა ასპექტის თაობაზე. ამავ დროს, ამ ჯგუფებსა და ეკლესიას შორის ამ თემებზე არანაირი დიალოგი არ მიმდინარეობს. შედეგად, „ლიბერალები“ უტყვენ, ეკლესია კი თავს იცავს. ჩვეულებრივ, ჭეშმარიტება ყოველთვის სადღაც შუაშია და მხოლოდ დისკუსიისას და პირდაპირი დიალოგის დროს დგინდება. ვინაიდან ამჟამად სათანადო პლატფორმა არ არსებობს, სასურველია შეიქმნას იგი საპატრიარქოს ბაზაზე, სადაც თავად პატრიარქი და წმინდა სინოდის წევრები პერიოდულად დაელოპარაკებიან კრიტიკულად განწყობილ ორგანიზაციებს. კარგი იქნება, თუკი ამგვარი პლატფორმის შექმნის ინიციატივით თავად საპატრიარქო გამოვა.

**6. დასავლეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულებსა და პატრიარქს და/ან წმინდა სინოდის წევრებს შორის ყოველწლიური შეხვედრის პრაქტიკის დამკვიდრება**

**ადრესატი:** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**დასაბუთება:** ერთ-ერთი გავრცელებული მითისა და მასთან დაკავშირებული ფობიების მიხედვით დასავლეთში განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდები სწავლის პერიოდში ექცევიან მავნე გავლენის ქვეშ, ხდება მათი „ტვინის გამორეცხვა“, რის შედეგადაც კარგავენ სულიერებასა და საკუთარი ეროვნული ტრადიციების პატივისცემას. ამგვარი პიროვნება ადვილად კარგავს ქართულ იდენტობასაც. შემოთავაზებული რეკომენდაციაა ეკლესიის მაღალი იერარქებისა და დასავლეთში განათლებამიღებული ახალგაზრდების პირდაპირი საკომუნიკაციო არხის შექმნა, საიდანაც მღვდელმსახურები პირველწყაროდან მოისმენენ დასავლეთში სწავლისა და ცხოვრების ავკარგიანობის შესახებ, რას აძლევს სინამდვილეში ეს გამოცდილება ქართველ ახალგაზრდებს სულიერი თუ მენტალური განვითარების თვალსაზრისით. სასურველია, ამგვარი შეხვედრები წელიწადში ერთხელ მაინც გაიმართოს.

მომდევნო რეკომენდაცია დიალოგისა და სადისკუსიო მედიაპლატფორმის შექმნას გულისხმობს:

**7. ტელე-და რადიოარხებზე რელიგიური თემატიკის პროგრამების საეთერო დროის გაზრდა**

**ადრესატი:** საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

**დასაბუთება:** ვინაიდან კომერციული რადიო- და ტელეარხებზე თითქმის არ ეხებიან რელიგიურ თემატიკას, საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა შეიქმნას რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების, ზოგადად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ



ცხოვრებაში რელიგიური ორგანიზაციების ადგილისა და როლის შესახებ პროფესიული დისკუსიის პლატფორმა. გადაცემების ფორმატები იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ უზრუნველყოს დიალოგის კონსტრუქციული ატმოსფერო, სადაც ნარმოდგენილი იქნება ყველა შეხედულება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი უმცირესობების ყველა ენაზე მაუწყებლობს, ეს პროგრამები საინტერესო იქნება სხვა კონფესიების წარმომადგენლებისთვისაც.

## სასულიერო პირების შესაძლებლობათა გააქტიურება

ქვემოთ მოყვანილი ორი რეკომენდაცია გამიზნულია სასულიერო პირების რუსულ ენაზე დამოკიდებულების შესამცირებლად:

### 8. ახალგაზრდა სასულიერო პირებისთვის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამების შექმნა

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** ახალი თაობის სასულიერო პირებს შორის მრავლად არიან ინგლისური ენის შესწავლის მსურველები. მათ უნდათ გაიცნონ გარესამყარო და ღრმად ჩანვდნენ დასავლური ცივილიზაციის არსს. სამწუხაროდ, მათი საქმიანობის სპეციფიკა, ასევე თავად საეკლესიო განათლების სისტემაში ენების შემსწავლელი და ქვეყანათმცოდნეობის პროგრამების არქონა ზღუდავს ამგვარი ცოდნის მიღების შესაძლებლობას. არასამთავრობო სექტორს შეუძლია ამ ნაკლის შევსება და ახალგაზრდა სასულიერო პირებისთვის არაკომერციულ საწყისებზე სასწავლო პროგრამების შეთავაზება. არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტი შესაძლებლობა აქვთ შეიმუშაონ სასულიერო პირების საქმიანობის სპეციფიკაზე მორგებული ფორმატები და სასწავლო პროგრამები.

### 9. სასულიერო პირებისათვის ევროპულ ენებზე არსებულ თეოლოგიურ ლიტერატურაზე წვდომის ხელშეწყობა

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მთლიანად რუსეთის მიმართ არსებული სიმპათია უფროსი თაობის სამღვდელოებაში განპირობებულია ენობრივი ბარიერით – მათ ძირითადად არ იციან სხვა უცხო ენა რუსულის გარდა. ევროპული ენების არცოდნა, განსაკუთრებით ინგლისურისა, ევროპაში გამოცემული რელიგიური ლიტერატურით სარგებლობის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია. ამის გამო ინფორმაციის ერთადერთი წყარო ფაქტობრივად არის რუსული გამოცემები. შესაბამისად, დღის წესრიგში უნდა დადგეს როგორც პროფესიული თეოლოგიური განათლების მქონე მთარგმნელების მომზადება, ისე თავად ევროპული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა. სასურველია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეკლესიასთან კონსულტაციით შექმნან შესაბამისი სასწავლო პროგრამა და თარგმნონ ლიტერატურა წინასწარ შეთანხმებული სიის მიხედვით.

შემდეგი ორი რეკომენდაცია უკავშირდება სასულიერო პირებისთვის დასავლურ სამყაროსთან ზიარების შესაძლებლობის მიცემას:

**10. ეკლესიის მსახურებისა და სტუდენტებისთვის შესაძლებლობის მიცემა ადგილზე გაეცნონ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის მთავრობების, საზოგადოებებისა და სასულიერო პირების ხედვებსა და პრიორიტეტებს**

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
საქართველოს მთავრობა  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** სასურველია, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში სასწავლო-შემეცნებითი ტურების პერიოდულად ორგანიზება ეკლესიის მსახურთათვის და სასულიერო სასწავლებლების სტუდენტებისთვის, რათა უშუალოდ გაეცნონ ადგილობრივი მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოებებისა და კოლეგა-სასულიერო პირების მოსაზრებებს „ვესტერნიზებულ“ სამყაროში ეკლესიის ადგილისა და როლის შესახებ. ტურის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს დასავლური საზოგადოებების შესახებ გავრცელებული მითები და სტერეოტიპები. ბოლო პერიოდში ბრიუსელსა და ვაშინგტონში მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ვიზიტებმა დაადასტურა ამის მიზანშეწონილობა. ვიზიტების შემდგომ გაკეთებულ კომენტარებსა და განცხადებებში სასულიერო პირები აღიარებდნენ, რომ დასავლეთისა და დასავლური ორგანიზაციების შესახებ ბევრი რამ ისეთი შეიტყვეს, რაც მანამდე არ იცოდნენ ან არასწორად ჰქონდათ წარმოდგენილი. სასურველია, რომ ამ პრაქტიკას სისტემატური ხასიათი მიეცეს.

**11. კონსერვატიული სასულიერო პირებისათვის შესაძლებლობის მიცემა, გაეცნონ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის მართლმადიდებელი ქვეყნების ადგილობრივი კოლეგების მოსაზრებებს ევროპეიზებულ გარემოში ეკლესიის ადგილისა და როლის შესახებ**

**ადრესატები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები  
საქართველოს მთავრობა  
უცხოური დონორი ორგანიზაციები

**დასაბუთება:** სასურველია კონსერვატიულად განწყობილი სასულიერო პირები რეგულარულად ეწვიონ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის მართლმადიდებელ ქვეყნებს და ადგილზე გაეცნონ რამდენად კომფორტული ან პრობლემურია ადგილობრივი ეკლესიების საქმიანობა ევროკავშირის პირობებში. მათ პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს შეხვედრები როგორც ადგილობრივ სასულიერო პირებთან, ისე მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ახალგაზრდებთან.



ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაცია გულისხმობს ახალგაზრდა სასულიერო პირებისთვის თანამედროვე მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას:

## **12. ახალგაზრდა სასულიერო პირებისთვის დასავლეთში განათლების მიღების შესაძლებლობის მიცემა**

**ადრესატები:** საქართველოს მთავრობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**დასაბუთება:** რაც უფრო მეტი სასულიერო პირი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, მიიღებს განათლებას დასავლეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, მით უფრო მაღელ დაახლოვდება პოზიციები საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებსა და საზოგადოების „ლიბერალურ“ ნაწილს შორის ქართველი ახალგაზრდების უცხოეთში განათლების მიღების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამისათვის საქართველოს მთავრობამ უნდა მიმართოს ევროპულ ქვეყნებსა და აშშ-ს თხოვნით გამოიყონ სასწავლო კვოტები საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებისთვის.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება ქართველ ახალგაზრდებში წიგნიერებისა და შრომის სიყვარულის დანერგვას:

## **13. სასულიერო პირების მხრიდან ეკლესიის ახალგაზრდა მრევლში სწავლისა და შრომის მნიშვნელობის შესახებ ქადაგების გაძლიერება**

**ადრესატი:** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**დასაბუთება:** ქართველი ახალგაზრდები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ გლობალიზაციის ეპოქაში კარგი განათლების მნიშვნელობას, თუმცა ქვეყანაში ხარისხიანი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ვითარება კვლავაც არასახარბიელოა. ეს მრავალნახნაგოვანი პრობლემაა, რომლის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის მოტივაცია, რომელიც ამ მიზნით ძალისხმევისათვის ან ძალიან დაბალია და ან სრულიად არ არსებობს. კარგი იქნება, ეკლესია თუ გაითვალისწინებს ამ გარემოებას და თავის ყოველდღიურ მუშაობაში მრევლთან, ქადაგებისას, მეტ ყურადღებას დაუთმობს წიგნის კითხვის, საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომისა და სხვა უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობას მომავალი პროფესიისთვის.

## **საქართველოს მთავრობისა და ეკლესიის ძალისხმევის გაერთიანება**

მომდევნო ოთხი რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისა და ეკლესიის თანამშრომლობას ეხება:

## **14. საეკლესიო განათლების რეფორმის გატარება**

**ადრესატები:** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**დასაბუთება:** რეფორმის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მომავალი სასულიერო პირების მომზადება, რომელთაც სასულიერო განათლებასთან ერთად მიღებული ექნებათ სექულარული განათლებაც. ეს დაეხმარება მათ უკეთ შეიმეცნონ როგორც საერთაშორისო სარბიელზე მიმდინარე მოვლენები, ისე ქვეყნის შიგნით გლობალიზაციით განპირობებული სოციალური ტრანსფორმაციის გარდუვალი ტენდენციები.

გადაჭარბებული კონსერვატიზმი, რაც ბევრი სასულიერო პირისთვისაა დამახასიათებელი, ძირითადად განპირობებულია ამ საკითხების შეზღუდული ცოდნით. უნდა ნახალისდეს „ლიბერალური“ სასულიერო პირების ჩართვა სასწავლო პროცესში. ამ პროცესის ხელშეწყობა შეუძლია როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას.

**15. ქართული დიასპორის ხელშეწყობის მიზნით ძალისხმევის გაერთიანება, რათა შესაძლებელი გახდეს ენის, კულტურის და სამშობლოსთან ემოციური კავშირის შენარჩუნება.**

**ადრესატები:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**დასაბუთება:** იმ ვითარებაში, როდესაც შეუძლებელია ქართველი ემიგრანტების დაბრუნება, მთავარი ამოცანაა დიასპორის განსახლების ადგილებში ხელსაყრელი პირობების შექმნა, რათა მან შეძლოს მშობლიური ენის, ეროვნული ტრადიციებისა და სამშობლოს სიყვარულის შენარჩუნება. პატრიარქს და ეკლესიას კარგად ესმით ეს პრობლემა და ამ მიზნით შექმნეს ეპარქიები უცხოეთში. დაიწყო ეკლესიებისა და მონასტრების შემდგომი მშენებლობისთვის მიწების, ასევე მზა შენობების შესყიდვა. ეს ადგილები უკვე იქცა ქართველი მიგრანტებისთვის წმინდა ადგილებად, სულიერების ერთგვარ კერებად, სადაც ერი და ბერი ერთად აღნიშნავს როგორც საერო, ისე საეკლესიო დღესასწაულებს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ეკლესიას სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ეკლესიებისა და მონასტრებისთვის ოპტიმალური ადგილმდებარეობის შერჩევა, რომ მეტი ქართველისთვის იყოს ხელმისაწვდომი. ამ ინფრასტრუქტურის ნაწილია საკვირაო სკოლები – სასკოლო ასაკის ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ერთადერთი ადგილი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნდა დაეხმაროს ამ სკოლებს ადაპტირებული სახელმძღვანელოებით, რაც აუცილებელია არაქართულ გარემოში აღსაზრდელი ბავშვებისთვის.

**16. ძალისხმევის გაერთიანება ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის რელიგიური ობიექტების ტურისტული მიმზიდველობის გასაზრდელად.**

**ადრესატები:** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია  
ადგილობრივი თვითმმართველობა  
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**დასაბუთება:** ეკლესია პერიოდულად აახლებს ტაძრებისა და მონასტრების ინფრასტრუქტურას, ცვლის ლანდშაფტურ დიზაინს და აპირკეთებს ფასადს. ხშირად ეს ობიექტები წარმოადგენენ ტურისტული ინტერესის სფეროსაც. მეტი ტურისტის მოზიდვას სჭირდება ობიექტების შიდა ინფრასტრუქტურის განახლებაც, რასაც ეკლესია აკეთებს, მაგრამ სრულყოფილებისთვის საჭიროა ამის სახელმწიფო ინსტიტუტებთან შეთანხმებით გაკეთება. აუცილებელია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ობიექტის პოპულარულ ტურისტულ მარშრუტებში შეტანა, რაც ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების პრეროგატივაა. რამდენადაც ამგვარ ობიექტებზე მეტი ტურისტის მოზიდვა როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიის ინტერესებშია, საჭიროა მათი კოორდინირებული მოქმედება.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. **კეკელია თ., გავაშელიშვილი ე., ლადარია კ., სულხანიშვილი ი.** – მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), ილიას სახელობის უნივერსიტეტი, 2013
2. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე იხ.: [www.matsne.gov.ge/ka/document/view/41626](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/41626)
3. **Gavashelishvili E.** – Anti-Modern and Anti-Globalist Tendencies in the Georgian Orthodox Church, იხ.: Identity Studies, Vol. 4, Ilia State University Press, 2012
4. **Kakachia K.** – Georgia’s Identity-Driven Foreign Policy and the Struggle for its European Destiny, იხ.: Caucasus Analytical Digest, No.37, 29 March 2012, გვ. 4-7
5. **Rcheulishvili K.** – A new Public Role of Religion? Recent Issues of Religion and Politics in Georgia, იხ.: Caucasus Analytical Digest No.72, 29 April 2015, გვ. 6-9
6. **Minesashvili S., Kakhishvili L.** – Georgia: Foreign Policy Identity in the Domestic Arena as a Subject of Contestation, იხ.: Caucasus Analytical Digest No. 77, 14 September 2015, გვ. 14-16
7. **Minesashvili S.** – The Orthodox Church in the Democratization Process in Georgia: Hindrance or Support? იხ.: Caucasus Analytical Digest No. 97, 21 July 2017, გვ. 6-9
8. **Zurabishvili T.** – The EU as a “Threat” to Georgian Traditions: Who Is Afraid, and Why? იხ.: Caucasus Analytical Digest No. 99, 30 October 2017, გვ. 6-9
9. **Chitanava E.** – The Georgian Orthodox Church: National Identity and Political Influence, იხ.: Traditional Religion and Political Power: Examining the Role of the Church in Georgia, Armenia, Ukraine and Moldova, Ed. Hug A., The Foreign Policy Centre, გვ. 40-52
10. **Vacharadze I.** – The End of the Georgian Orthodox Church, As We Know It, იხ.: Traditional Religion and Political Power: Examining the Role of the Church in Georgia, Armenia, Ukraine and Moldova, Ed. Hug A., The Foreign Policy Centre, გვ. 53-56
11. **Gordeziani Z.** – The Nature of the European Union Discourse Articulated by the Georgian Orthodox Church, Master’s Thesis, University of Tartu, 2016
12. Knowledge of and Attitudes Towards the European Union in Georgia, 2009-2017, Europe Foundation, May 2017, იხ.: [www.epfound.ge/knowledge-attitudes-towards-eu-georgia-2009-2017/](http://www.epfound.ge/knowledge-attitudes-towards-eu-georgia-2009-2017/)

**კ ი თ ხ ვ ა რ ი**  
(მღვდელმსახურები)

<b>ეკლესიის ხედვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში საკუთარი ადგილისა და როლის შესახებ</b>	
1	ტრადიციულად, ხალხის ნდობა ეკლესიის მიმართ მაღალია, ქვეყნის სხვა ინსტიტუტების მიმართ კი ხშირად მერყეობს. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამას? რატომ ვერ შეძლეს სახელმწიფო და პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა მყარი ნდობის მოპოვება?
2	რა განაპირობებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენას (მოქალაქეზე, მთავრობაზე)?
3	როგორია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა? როგორ იმოქმედა ურთიერთობაზე: ა) 2002 წლის „კონკორდატმა“; ბ) 2011 წლის კანონპროექტმა სხვა რელიგიური ორგანიზაციების შესახებ; გ) ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა?
<b>ეკლესიის ხედვა ქვეყანაში არსებული პრიორიტეტული საკითხების</b>	
4	შეგიძლიათ ჩამოთვალთ ქვეყანაში არსებული ყველაზე მწვავე პრობლემები, რომლებიც მყისიერ რეაგირებას საჭიროებს (უმუშევრობა, ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა და ა.შ.)?
5	რამდენად ხედავს სახელმწიფო ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს?
6	რითი შეიძლება შეეხიდოს ეკლესია სახელმწიფოს არსებული გამოწვევების დაძლევაში?
7	როგორი არის ან უნდა იყოს ეკლესიის როლი განათლებაში?
8	რა როლს თამაშობს მედია ქვეყნის განვითარებაში?
<b>საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობისადმი ეკლესიის დამოკიდებულება</b>	
9	რომელ ქვეყნებს გამოყოფდით მთავარ მოთამაშედ ჩვენს რეგიონში?
10	რას გამოკვეთდით მათთან ურთიერთობაში საკვანძო საკითხად?
11	ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველო ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს დასავლეთსა და დასავლურ ინსტიტუტებზე?
12	რამდენად თავსებადია ქართველობა და ევროპელობა? რა როლი აქვს ეკლესიას თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და გლობალიზაციის კონტექსტში ახალი სოციალური ფასეულობების ჩამოყალიბებაში?
13	საქართველოს დასავლეთი მრავალი თვალსაზრისით უჭერს მხარს, მათ შორის, სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარების, ჰუმანიტარული დახმარებისა და სხვ. მიმართულებებით. რამდენად უჭერთ მხარს ამგვარი ურთიერთობების გაგრძელებას/გაღრმავებას?
14	რომელი ქვეყანა ან გაერთიანება მიგაჩნიათ საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილისმყოფლად? პირიქით? რის მიხედვით შეაფასებდით მათ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ?
15	როგორია ეკლესიის მსახურთა უმრავლესობის განწყობა ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ? ემთხვევა თუ არა მათ თქვენი მოსაზრებები?
16	შესაძლებელია თუ არა ერთდროულად დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია და რუსეთთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობები?
17	რამდენად სასურველია, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა განათლება დასავლეთში მიიღონ?
18	უცხოეთში, ძირითადად დასავლეთში, იზრდება ქართული დიასპორა. ქართული ეკლესიის უცხოეთში არსებული ეპარქიები ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართველ ემიგრანტებს თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, თუმცა ვერ ხერხდება მათი დარწმუნება დაბრუნდნენ სამშობლოში. რაში ხედავთ გამოსავალს?
<b>ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში საკუთარი როლის ხედვა ეკლესიის მიერ</b>	
19	რა როლის შესრულება შეუძლია ეკლესიას საქართველოს გამთლიანებაში, კონფლიქტების მოგვარებაში? რა დატვირთვა შეიძლება ჰქოდეს იმ ფაქტს, რომ რუსეთის ეკლესიის მიერ არ არის აღიარებული აფხაზეთის ეკლესია და ის კვლავ ქართული ეკლესიის კანონიკურ საზღვრებში რჩება?

**კ ი თ ხ ვ ა რ ი**  
(ექსპერტები)

<b>ექსპერტების ხედვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესიის დღევანდელ და მომავალ ადგილსა და როლზე</b>	
1	ტრადიციულად, ხალხის ნდობა ეკლესიის მიმართ მაღალია, ქვეყნის სხვა ინსტიტუტების მიმართ კი ხშირად მერყეობს. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამას? რატომ ვერ შეძლეს სახელმწიფო და პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა მყარი ნდობის მოპოვება?
2	რა განაპირობებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენას (მოქალაქეზე, მთავრობაზე)?
3	რამდენად სანდოა ეკლესიის მიმართ საზოგადოების ნდობის მაღალი მაჩვენებლები?
4	როგორია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა? როგორ იმოქმედა ურთიერთობაზე: ა) 2002 წლის „კონკორდატმა“; ბ) 2011 წლის კანონპროექტმა სხვა რელიგიური ორგანიზაციების შესახებ; გ) ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა?
<b>ექსპერტების ხედვა ეკლესიის მხრიდან სახელმწიფოს დახმარებაზე</b>	
5	რითი შეიძლება შეეხიდოს ეკლესია სახელმწიფოს არსებული გამოწვევების დაძლევაში?
6	როგორი არის ან უნდა იყოს ეკლესიის როლი განათლებაში?
<b>ექსპერტების ხედვა გარე სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულებაზე</b>	
7	როგორ უყურებს ეკლესია ქვეყნის საგარეო პოლიტიკას? მოსწონს თუ არა სამღვდელოების უმრავლესობას საქართველოს პროდასავლური კურსი?
8	რა როლი აქვს ეკლესიას იდენტობის შენარჩუნებაში გლობალიზაციის კონტექსტის გათვალისწინებით?
9	რომელი ქვეყანა ან ქვეყნების კავშირი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე კეთილისმყოფლად? პირიქით?
<b>ტექნოლოგიებისა და მოდერნიზაციის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულების ექსპერტების შფასება</b>	
10	როგორ უყურებს ეკლესია საქართველოში ტექნოლოგიური მოდერნიზაციის შემოღწევას, მაგალითად, სოციალური მედიის?
<b>ეკლესიის შიგნით მიმდინარე მოვლენების ექსპერტების შფასება</b>	
11	როგორ აფასებთ ეკლესიაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს? ე.წ. „ციანიდის საქმე“ იზოლირებული შემთხვევაა თუ უფრო სისტემურ, ღრმა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
<b>სხვადასხვა</b>	
12	უცხოეთში სწავლის მსურველი ახალგაზრდების რიცხვი სულ უფრო იზრდება. მიგაჩნიათ, რომ განათლების მიღების შემდეგ მათი ეკლესიისადმი დამოკიდებულება/ნდობა იცვლება?
13	უყურებთ საპატრიარქოს ტელევიზიას? რა აზრის ხართ მის შინაარსზე და იმ ფასეულობებზე, რომელთაც ეს ტელევიზია ავრცელებს? რამდენად პროდასავლური ან პრორუსულია მისი სარედაქციო პოლიტიკა?
14	რა როლის შესრულება შეუძლია ეკლესიას საქართველოს გამთლიანებაში, კონფლიქტების მოგვარებაში? რა დატვირთვა შეიძლება ჰქოდეს იმ ფაქტს, რომ რუსეთის ეკლესიის მიერ არ არის აღიარებული აფხაზეთის ეკლესია და ის კვლავ ქართული ეკლესიის კანონიკურ საზღვრებში რჩება?